ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2863061

ნომერი: AR1443243

თარიღი : 23.09.2016

გაცემის თარიღი : 29.09.2016

გაცნობის თარიღი : 29.09.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ჩიხი ჩოლოყაშვილი III , N 4 ; ქალაქი თბილისი , ჩიხი ჩოლოყაშვილი III , N 4 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაურ დარჩიაშვილი პ/ნ 01010002093
- თბილისი შ.რუსთაველის გამზ. N 52

ორგანიზაცია:

- სს საქელექტრომანქანა კოდი: 206028207

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს : აღნიშნულ განცხადებაში და №2733338 გადაწყვეტილებაში წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ფოტოსურათებსა და ფოტომონტაჟებიდან დგინდება, რომ საპროექტოდ გათვალისწინებული სამუშაოები არ განეკუთვნება I კლასის სამუშაოებს, რადგან აღნიშნული საჭიროებს მზიდი ელემენტების, საყრდენი კედლის, დაზიანებული კედლის ან/და შენობის გამაგრების არქიტექტურული პროექტის შეთანხმებასა და მშენებლობის ნებართვის გაცემას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას აღნიშნული საკითხი განიხილოს I კლასის კუთხით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.